

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №42

2016 წლის 30 დეკემბერი

ქ. ამბროლაური

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილისა, და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პროგრამული ბიუჯეტი“ დანართი №1 შესაბამისად

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №52 დადგენილება (www.matsne.gov.ge; 30/12/2015წ; სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.172.016114)

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ ამბროლაურის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ასლან საგანელიძე

დანართი №1

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პროგრამული ბიუჯეტი

თავი I

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2016წლის გეგმა			2017წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	5652.9	1299.0	4353.9	4494,1	90,0	4404,1
გადასახადები	300.0	0	300.0	310,0	0	310,0
გრანტები	5201.9	1299.0	3902.9	4084,1	90,0	3994,1
სხვა შემოსავლები	151.0	0	151.0	100,0	0	100,0
ხარჯები	3566.6	81.0	3485.6	3115,9	90,0	3025,9



შრომის ანაზღაურება	927.0	40.8	886.2	856,0	38,8	817,2
საქონელი და მომსახურება	427.9	0	427.9	331,4	3,6	327,8
სუბსიდიები	1705.2	40.2	1665.0	1557,1	47,6	1509,5
გრანტები	0	0	0	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	325.9	0	325.9	249,0	0	249,0
სხვა ხარჯები	180.7	0	180.7	122,4	0	122,4
საოპერაციო სალდო	2086.3	1218.0	868.3	1378,2	0	1378,2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2311.9	1218.0	1093.8	1378,2	0	1378,2
ზრდა	2393.5	1218.0	1175.5	1428,2	0	1428,2
კლება	81.6	0	81.6	50,0	0	50,0
მთლიანი სალდო	-225.6	0	-225.6	0	0	0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-280.0	-46.7	-233.3	0	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	280.0	46.7	233.3	0	0	0
ზრდა	0	0	0	0	0	0
კლება	280.0	46.7	233.3	0	0	0
ვალდებულებების ცვლილება	-54.4	-46.7	-7.7	0	0	0
კლება	54.4	46.7	7.7	0	0	0
ბალანსი	0	0	0	0	0	0

მუხლი 2. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	5734.5	1299.0	4435.5	4544,1	90,0	4454,1
შემოსავლები	5652.9	1299.0	4353.9	4494,1	90,0	4404,1
არაფინანსური აქტივების კლება	81.6	0	81.6	50,0	0	50,0
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	0	0



გადასახდელები	0	0	0	0	0	0
ხარჯები	3566.6	81.0	3485.6	3115,9	90,0	3025,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	2393.5	1218.0	1175.5	1428,2	0	1428,2
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	0	0
ვალდებულებების კლება	54.4	46.7	7,7	0	0	0
ნაშთის ცვლილება	-280.0	-46.7	-233.3	0	0	0

მუხლი 3. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 4494,1 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	5652.9	1299.0	4353.9	4494,1	90,0	4404,1
გადასახადები	300.0	0	300.0	310,0	0	310,0
გრანტები	5201.9	1299.0	3902.9	4084,1	90,0	3994,1
სხვა შემოსავლები	151.0	0	151.0	100,0	0	100,0

მუხლი 4. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 310,0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	კოდი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	300,0	0	300,0	310,0	0	310,0
საშემოსავლო გადასახადი	11111	200,0	0	200,0	180,0	0	180,0
ქონების გადასახადი	113	100,0	0	100,0	130,0	0	130,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	90,0	0	90,0	120,0	0	120,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	0	0	0	0	0	0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0	0	0	0	0	0



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	0	0	0	0	0	0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	0	0	0	0	0	0
იურიდიული პირებიდან	1131142	0	0	0	0	0	0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	10,0	0	10,0	10,0	0	10,0
ფიზიკური პირებიდან	1131151	1,5	0	1,5	1,5	0	1,5
იურიდიულ პირებიდან	1131152	8,5	0	8,5	8,5	0	8,5

მუხლი 5. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4084,1 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2016 წლის გეგმა				2017	
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	5201.9	1299.0	3902,9	4084,1	90,0	3994,1
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული ქრანტები	131	0	0	0	0	0	0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	5201.9	1299.0	3902,9	4084,1	90,0	3994,1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	3983,9	81,0	3902,9	4084,1	90,0	3994,1
გათანაბრებითი ტრანსფერი		3902,9	0	3902,9	3994,1	0	3994,1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		81,0	81,0	0	90,0	90,0	0



ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		0	0	0	0	0	0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	1218.0	1218.0	0	0	0	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		0	0	0	0	0	0

მუხლი 6. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 100,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	151.0	0	151.0	100,0	0	100,0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	45.5	0	45.5	35,0	0	35,0
პროცენტები	1411	45.5	0	45.5	35,0	0	35,0
რენტა	1415	0	0	0	0	0	0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	0	0	0	0	0	0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	0	0	0	0	0	0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	70.5	0	70.5	42,0	0	42,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	60.5	0	60.5	20,0	0	20,0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	41.5	0	41.5	1,0	0	1,0
ადგილობრივი მოსაკრებელი							



დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	142214	19,0	0	19,0	19,0	0	19,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	10,0	0	10,0	22,0	0	22,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	10,0	0	10,0	22,0	0	22,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	35,0	0	35,0	23,0	0	23,0

მუხლი 7. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 3115,9 ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	3566.6	81,0	3485.6	3115,9	90,0	3025,9
შრომის ანაზღაურება	927.0	40.8	886.2	856,0	38,8	817,2
საქონელი და მომსახურება	427.9	0	427.9	331,4	3,6	327,8
სუბსიდიები	1705.2	40.2	1665.0	1557,1	47,6	1509,5
გრანტები	0	0	0	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	325.9	0	325.9	249,0	0	249,0
სხვა ხარჯები	180.5	0	180.5	122,4	0	122,4

მუხლი 8. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1383,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2016 წლის გეგმა		2017 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის
		სახელმწიფო		სახელმწიფო



	სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2311.9	1218.0	1093.9	1378,2	0	1378,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	2393.5	1218.0	1175.5	1428,0	0	1428,2
არაფინანსური აქტივების კლება	81.6	0	81.6	50,0	0	50,0

**მუხლი 9. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების
ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების
ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1268.5	0	1268.5	1095,6	0	1095,6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1268.5	0	1268.5	1095,6	0	1095,6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1260.9	0	1260.9	1075,6	0	1075,6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	7.6	0	7.6	20,0	0	20,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0	0	0	0	0	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0	0	0	0	0	0
702	თავდაცვა	44.3	40.8	3.5	42,4	42,4	0



703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0	0	0	0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0	0	0	0	0	0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0	0	0	0	0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2122.6	1218.0	904.6	1258,8	0	1258,8
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მონადირეობა	0	0	0	0	0	0
7045	ტრანსპორტი	1346.2	1218.0	128.2	10,9	0	10,9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1346.2	1218.0	128.2	10,9	0	10,9
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	776.4	0	776.4	1247,9	0	1247,9
705	გარემოს დაცვა	645.2	0	645.2	589,0	0	589,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	475.9	0	475.9	346,0	0	346,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	169.3	0	169.3	243,0	0	243,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	188.0	0	188.0	55,0	0	55,0
7061	ბინათმშენებლობა	0	0	0	0	0	0
7063	წყალმომარაგება	0	0	0	0	0	0
7064	გარე განათება	188.0	0	188.0	55,0	0	55,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0	0	0	0	0	0
707	ჯანმრთელობის დაცვა	133.2	40.2	93.0	130,6	47,6	83,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	91.7	0	91.7	83,0	0	83,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	41.5	40.2	1.3	47,6	47,6	0



708	დასვენება, კულტურა და რელიგია	921.8	0	921.8	788,4	0	788,4
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	425.2	0	425.2	371,7	0	371,7
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	469.5	0	469.5	395,0	0	395,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0	0	0	0	0	0
7084	რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობა	27.1	0	27.1	21,7	0	21,7
709	განათლება	406.4	0	406.4	411,3	0	411,3
7091	სკოლამდელი აღზრდა	305,0	0	305,0	320,0	0	320,0
7092	ზოგადი განათლება	101.4	0	101.4	91,3	0	91,3
710	სოციალური დაცვა	230.3	0	230.3	170,0	0	170,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	36.5	0	36.5	40,0	0	40,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	14.5	0	14.5	13,0	0	13,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	12.0	0	12.0	11.0	0	11.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	26.6	0	26.6	30,0	0	30,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	140.6	0	140.6	76,0	0	76,0
	სულ	5960.1	1299.0	4661.1	4541,0	90,0	4451,1

მუხლი 10. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0,00 ათ. ლარის ოდენობით



მუხლი 11. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0,00 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
განისაზღვროს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 0,00 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი
ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 20.0 ათასი ლარის ოდენობით

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 90.0 ათასი ლარი.

მათ შორის:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 47.6 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 42.4 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება.

1.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და შემდგომი გაუმჯობესება. ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვისათვის დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯებიც.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში ქალაქ ამბროლაურში 2017 წელს დაგეგმილია ქალაქის ქუჩებისა ჩიხების ბეტონის, ან ასფალტო-ბეტონის საფარით კეთილმოწყობის სამუშაოების, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების



თანადაფინანსება, რითაც გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა. ქუჩის მიმდებარე ჩიხების რეაბილიტაცია.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვასა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება. მოწესრიგდება ქალაქის ინფრასტრუქტურა.

2.2.1. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოხდება ქალაქ ამბროლაურის გარე-განათების ელექტროენერგიის ღირებულების დაფინანსება.

2.2.2. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

რეგულარულად განხორციელდება ქალაქიდან მიუსაფარი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის და თოვლწმენდის ღონისძიებები.

2.2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები(პროგრამული კოდი 03.02 03)

ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობი პროგრამის დაფინანსება, " მაგრელიოს " სკვერის სრული რეაბილიტაცია, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე სკვერის დასრულების სამუშაოები, ქალაქის სხვადასხვა უბნებში მოეწყობა სპორტული ტრენაჟორები, მოხდება ქალაქის შემოსასვლელის კეთილმოწყობა, დასასვენებელი ფანჯატური, ე.წ. „ქვამტკარის“ ტერიტორიაზე, განხორციელდება საბავშვო ბაღის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება, განხორციელდება საპროექტო სამუშაოები

2.2.4. კანალიზაციისა და სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

მოხდება ქ.ამბროლაურში საკანალიზაციო სისტემის მოწყობის მეორე რიგის სამუშაოების თანადაფინანსება, განხორციელდება ქალაქის სხვადასხვა ქუჩებზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია

2.3. ა.ა.ი.პ ქალაქ ამბროლაურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების გატანის, ხეების მოჭრის, სანიაღვრე არხების გაწმენდის, ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლების, დასუფთავებასთან დაკავშირებული მოსაკრებლების ამოღების, ჯარიმების ადმინისტრირების, სასაფლაოების მოვლა-შენახვის, გამწვანების, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციისა და მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას,რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდა საბავშვო ბაღების ხარჯების დაფინანსება. აგრეთვე დაფინანსდება სკოლისგარეშე განათლება.

3.1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება (პროგრამული კოდი 04 01)

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 1 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 160 -მდე აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღის სხვა მიმდინარე ხარჯებს.

3.2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01 (პროგრამული კოდი 04 02)



მოსწავლე-ახალგაზრდების ზოგადი განათლების გაღრმავების მიზნით დაფინანსებულია სკოლისგარეშე აღმზრდელობითი ღონისძიების პროგრამა. პროგრამაში ჩართულია ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის 100-მდე მოსწავლე. პროგრამაში გათვალისწინებულია, მოსწავლეთა მოთხოვნის შესაბამისად კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები, როგორცაა თეატრალური, ლიტერატურის, აგრეთვე ბავშვთა მომზადება შემდეგ წრეებში: ზოგადი უნარ-ჩვევების, მათემატიკური, კომპიუტერული, რუსული, ინგლისური, გერმანული

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე, მისი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, სპორტის პოპულარიზაციასა და სპორტული პირობების შექმნა განვითარებას, რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების განვითარება და გამოვლენა.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სექციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მოსწავლე-ახალგაზრდობას ჰქონდეთ შესაძლებლობა სპორტული ვარჯიშის განხორციელებისა თანამედროვე სპორტულ დარბაზებსა და მოედნებზე.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მეცადინეობები და შეჯიბრი შემდეგ სახეობებში:

–კალათბურთი

–ჭიდაობა

–ჭადრაკი

–მაგიდის ჩოგბურთი

–რაგბი

–შიდოკან კარატე

–ცურვა

და სპორტის სხვა სახეობები

დაფინანსდება პროგრამით გაწერილი ყველა სპორტული ღონისძიება და ხარჯები.

4.1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტულ სახეობათა სწავლების, სპორტსმენების საშეჯიბრო მივლინების ხარჯების, ასევე მუნიციპალიტეტის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და შეჯიბრებების დაფინანსება შეძენილი იქნება სპორტული ინვენტარი. ქვეპროგრამა განხორციელდება ა.ა.ი.პ. ამბროლაურის კომპლექსური სასპორტო სკოლის" სუბსიდირების გზით.

4.1.2. არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირის „ჭიდაობის კლუბი ფალავანი“-ს ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ჭიდაობის განვითარების დაფინანსება, სადაც შედის მწვრთნელთა ხელფასები, სატურნირო მივლინების ხარჯები. ქვეპროგრამა განხორციელდება ა.ა.ი.პ.ი „ჭიდაობის კლუბი ფალავანი“-ს სუბსიდირების გზით.



4.1.3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის საცურაო აუზის“ ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ცურვის განვითარების დფინანსება, სადაც შედის ა.ი.პ.ი. „ამბროლაურის საცურაო აუზის“ თანამშრომელთა ხელფასები და ხარჯები, ქვეპროგრამა განხორციელდება სუბსიდირების გზით.

4.1.4 . სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ინიციატივით, 2017 წელს სპორტული ღონისძიებების ფარგლებში გამართავს მარათონს.

აღნიშნულ მარათონში გარბენის შედეგების მიხედვით დაჯილდოვდება პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული ორივე სქესის წარმომადგენელი, ასევე მარათონის მონაწილეთაგან უხუცესი და ყველაზე ნორჩი მონაწილე. თითოეული გამარჯვებული მიიღებს სიგელს და ფულად ჯილდოს 100(ასი) ლარის ოდენიბით.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღისეული გაგრძელების პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები კერძოდ: სადღესასწაულო, გასართობი და სანახაობითი.

4.2.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ამბროლაურის კულტურის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღისეული გაგრძელების პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები კერძოდ: სადღესასწაულო, გასართობი და სანახაობითი.

2017 წლის განმავლობაში დაფინანსდება

-კულტურის სახლთან არსებული თეატრი და ანსამბლები;

-ბიბლიოთეკები;

-სახვითი ხელოვნების მუზეუმი;

4.2.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

მუნიციპალიტეტში 2017 წელს გაგრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამღლების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა.ა.ი.პ.ი „დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 125-მდე მოსწავლე. სკოლის დაფინანსება ხდება როგორც ბიუჯეტიდან ასევე მშობელთა შემონატანით.ქვეპროგრამა ხორციელდება სუბსიდირების გზით

4.2.3 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

მუნიციპალიტეტში 2017 წელს გაგრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამღლების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა.ა.ი.პ.ი „უჩა ჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 27-მდე მოსწავლე. სკოლის დაფინანსება ხდება როგორც ბიუჯეტიდან ასევე მშობელთა შემონატანით. ქვეპროგრამა ხორციელდება სუბსიდირების გზით

4.2.4. გაზეთის მომსახურების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება საგამომცემლო მომსახურების შესყიდვა, მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და მოსახლეობისათვის აქტუალური ინფორმაციების გასაშუქებლად.



4.3. ახალგაზრდული და საზოგადოებრივი ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

4.3.1 ახალგაზრდული ღონისძიებათა დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03 02)

აღნიშნული ქვეპროგრამა გულისხმობს:

4.3.1 .1 ქალაქ ამბროლაურის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთათვის ღონისძიების (ბოლო ზარი, ექსკურსია)მოწყობა. დაფინანსება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში შეადგენს არაუმეტეს 1000(ერთიათასი) ლარს. (აღნიშნული თანხა თანაბრად განაწილდება მუნიციპალიტეტის #1 და #2 საჯარო სკოლებზე.

4.3.1 .2 ქალაქ ამბროლაურის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის მუნიციპალიტეტის გარეთ, ქვეყნის მასშტაბით ღონისძიებებზე (გარდა კულტურული ღონისძიებებისა) მიწვევები, ერთჯერადად არაუმეტეს 50 ლარისა. დაფინანსების საერთო ლიმიტი ერთი კალენდარული წლის მანძილზე შეადგენს არაუმეტეს 1000(ერთიათასი) ლარისა.

4.3.2. საპატო მოქალაქის წოდების მინიჭების ღონისძიება (პროგრამული კოდი 05 03 03)

4.3.2.1. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი „ქალაქ ამბროლაურის საპატო მოქალაქის“ წოდებას მიანიჭებს არაუმეტეს 5 ადამიანს.

4.3.2.2. ადამიანი, რომელიც მიიღებს „ქალაქ ამბროლაურის საპატო მოქალაქის“ წოდებას, გადაეცემა ჯილდო.

4.3.2.3. საპატო მოქალაქის წოდების მინიჭება და გაცემის წესი რეგულირდება შესაბამისი განკარგულებით

4.3.3 წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების ღონისძიებები განათლების სფეროში (პროგრამული კოდი 05 03 04)

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, მეღვთა დაცვის, ახალგაზრდობის, ჯანმრელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის (შემდგომში სამსახური) ინიციატივით, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში წესდება ჯილდოები და წოდებები. პროგრამის ფარგლებში ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, განათლების სფეროში მიენიჭებათ წოდებები და გადაეცემათ ფულადი ჯილდოები. ქვეპროგრამის მიზანია აღნიშნული სფეროს წარმომადგენლების შრომით ნაყოფიერების, პროდუქტიულობისა და მოტივაციის ამაღლება.

4.3.3.1. „წლის საუკეთესო აღმზრდელი“ – ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება საბავშვო ბაღის აღმზრდელს (აღმზრდელის თანაშემწეს), რომელიც გამოვლინდება მშობლების გამოკითხვის შედეგად. მშობლების გამოკითხვას უზრუნველყოფს სამსახური, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელობასთან ერთად.

4.3.3. 2. „წლის საუკეთესო პედაგოგი“ –ფულადი ჯილდო 300 (სამასი)ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის თითოეული საჯარო სკოლის ერთ მასწავლებელს, რომელსაც გამოავლენენ შესაბამისი სკოლების პედაგოგები და XI-XII კლასის მოსწავლეები, ფარული კენჭისყრით. კენჭისყრის ჩატარებას უზრუნველყოფს სამსახური, ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრთან და საჯარო სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად.

4.3.3. 3. საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებს, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედალზე – (კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაცია, საჯარო სკოლების მიერ, მიეწოდება სამსახურს) გადაეცემათ ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით ოქროს მედალოსანს, ხოლო 200 (ორასი) ლარის ოდენობით ვერცხლის მედალოსანს. დასაჯილდოვებელთა რაოდენობას გადაწყვეტს სამსახური, დაჯილდოვების დროისათვის არსებული მონაცემებისა და მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით.

4.3.3. 4. საჯარო სკოლების ოთხ სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ მოსწავლეს - გადაეცემა პორტატული კომპიუტერები, (თითო სკოლიდან ორ მოსწავლეს), რომლებიც შეირჩევიან V-XI კლასის სოციალურად დაუცველ მოსწავლეთაგან, საუკეთესო აკადემიური მოსწრებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის



მონაცემთა ერთიანი ბაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ინფორმაციის დამუშავებასა და კანდიდატების გამოვლენას უზრუნველყოფს სამსახური.

4.3.4 წოდებების და ჯილდოების მინიჭების ღონისძიებები კულტურისა და სპორტის სფეროში (პროგრამული კოდი 05 03 05)

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის (შემდგომში სამსახური) ინიციატივით, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში წესდება ჯილდოები და წოდებები. პროგრამის ფარგლებში კულტურისა და სპორტის მოღვაწეებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო და მიენიჭებათ წოდებები. პროგრამის მიზანია აღნიშნული სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების, პროდუქტიულობისა და მოტივაციის ამაღლება.

4.3.4.1 „კულტურის საუკეთესო მოღვაწე“ – ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნულ წოდებას მიიღებს კულტურის სფეროს მოღვაწე, რომელსაც გამოავლენს სამსახური, კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენელთა ჩართულობით.

4.3.4.2 „წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარი“ – ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკების ერთ თანამშრომელს (ბიბლიოთეკარს), თანამშრომელთა და XI-XII კლასების მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად. გამოკითხვას უზრუნველყოფს სამსახური, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობასთან ერთად.

4.3.4.3 „წლის საუკეთესო მკითხველი“ – ფულადი ჯილდო 200 (ორასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკის თითო ყველაზე აქტიურ მკითხველს. მონაცემებს შეისწავლის სამსახური.

4.3.4.4. „წლის საუკეთესო სპორტსმენი“ (18 წლამდე ასაკის) – ფულადი ჯილდო ინდივიდუალურ სახეობაში 300 (სამასი) ლარი.

4.3.4.5. „წლის საუკეთესო ნაკრები“ - გუნდურ სახეობაში საუკეთესო შედეგების მქონე გუნდს გადაეცემა ფულადი ჯილდო 1000 (ერთათასი) ლარის ოდენობით.

4.3.4.6. ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებში კანდიდატს გამოავლენს სამსახური, შესაბამისი ა.ა.ი.პ.-ების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

4.3.4.7. სპორტსმენი, რომელიც ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში მყოფ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირიდან მიწვეულია ან მიწვეულ იქნება საქართველოს ნაკრებში, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისგან მიიღებს პრემიას ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

4.3.4.8. „წლის საუკეთესო მწვრთნელი“ - ფულადი ჯილდო 300(სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში მოღვაწე მწვრთნელს, რომელსაც გამოავლენს სამსახური, ა(ა)იპ-ების დირექტორების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

4.3.4.9. „წლის საუკეთესო მედიკოსი“ - ფულადი ჯილდო 300(სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ქალაქ ამბროლაურის სამედიცინო დაწესებულებებში მოღვაწე ექიმს ან ექთანს, რომელსაც აირჩევს ამ დაწესებულებების პერსონალი, ფარული კენჭისყრის საშუალებით. კენჭისყრის ჩატარებას უზრუნველყოფს სამსახური.

4.3.4.10. „ახალგაზრდა ხელოვანი“ - ფულადი ჯილდო 300(სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის აღსაზრდელს, რომელსაც გამოავლენს სამსახური, ა(ა)იპ-ების დირექტორების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

4.3.5 . ქვეპროგრამა: წოდების მინიჭება „ქალაქზე მზრუნველი“ (პროგრამული კოდი 05 03 07)



პროგრამის მიზანია საზოგადოებაში წახალისებულ იქნას ქალაქისთვის სასარგებლო საქმიანობა, ასევე ნებისმიერი ქმედება, რომელიც ქალაქ ამბროლაურზე ზრუნვისაგან შეიძლება იყოს განპირობებული. პროგრამის არსი მდგომარეობს დევიზში: „ჩვენი პასუხისმგებლობაა არა მხოლოდ ის, რასაც ვაკეთებთ, არამედ ისიც, რისი გავლენაზე შეგვეძლოს და არ გავაკეთოთ“.

4.3.5.1. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი „ქალაქზე მზრუნველის“ წოდებას მიანიჭებს არაუმეტეს 3 ადამიანს.

4.3.5.2. ადამიანს, რომელსაც მიენიჭება „ქალაქზე მზრუნველის“ წოდება, გადაეცემა ფულადი ჯილდო 300(სამასი) ლარის ოდენობით.

4.3.5.3. შედეგების გამოცხადება და ჯილდოს გადაცემა მოხდება ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძნობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

5.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსებას, კერძოდ:

5.1.1. გადამდებ-არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება.

5.1.2. ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორებზე მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან.

5.1.3. გარემოს, შრომის, სასმელი წყლის, საკვების უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობა.

5.1.4. ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით.

5.1.5. დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.

5.1.6. მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და გაძლიერება ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

5.1.7. პროფესიული ადამიანური რესურსების განვითარება, მოტივირება ად შენარჩუნება.

5.1.8. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციურ -სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

5.1.9. ჯანმრთელობის ადვოკატირება, კომუნიკაციის გაუმჯობესება, მოსახლეობაში საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობის წარმართვა, სოციალური მობილიზაციის ხელშეწყობა და საჭიროების შემთხვევაში მისი უზრუნველყოფა.

5.1.10. მტკიცებულებაზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება

5.1.11. პროგრამა ხორციელდება სუბსიდირების გზით.



6.ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამა დაფინანსების წესი(პროგრამული კოდი 06 02)

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (არანაკლებ ექვსი თვისა) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) განსაზღვრავს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის (გარდა ამ პროგრამის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ქვეპროგრამისა), აგრეთვე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები დროებით რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების ოდენობასა და გაცემის წესს. პროგრამის მიზანია იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამებით, ან/დაკერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ. აგრეთვე მომსახურების იმ ნაწილის დაფინანსება, რომელიც ნაწილობრივი დაფინანსებისას არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა სახის დაზღვევით. მიმდინარე პროგრამა მოიცავს სამედიცინო მომსახურების შემდეგ ქვეპროგრამებს:

ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა (მედიკამენტური მკურნალობა), ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა, „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარების ქვეპროგრამა, ამბულატორიულ მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა;

C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის ქვეპროგრამა.

6.1. ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა (მედიკამენტური მკურნალობა) პროგრამული კოდი 06 02 01

6.1.1 ქვეპროგრამის მოსარგებლეა შაქრიანი დიაბეტით, იშემიური და ჰემორაგიული ინსულტით, ბრონქული ასთმით, კრონის დაავადებით, ეპილეფსიით, გლავუკომით, ფსორიაზით, სისხლის ქრონიკული დაავადებებით (ლეიკემია, ლიმფომა თრომბოციტოპენური პუმპურა), მიასთენია, ციროზით (გარდა „C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში“ ჩართული პირებისა), ფარისებრი ჯირკვლით გამოწვეული დაავადებებით (დიფუზური ტოქსიური ჩიყვი, კვანძოვანი ჩიყვი, ჰიპოთირეოზი, აუტო იმუნური თირეოდიტი) ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებით (ფქოდ), ართრიტით და ართროზით ხანგრძლივად მოავადე პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი თერაპიული მკურნალობის კურსი და მკურნალობა არ/ან ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან/და კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ.

6.1.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოსარგებლეებს საჭიროების შემთხვევაში ასევე დაუფინანსდებათ თანმხლები დაავადებების სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტები, სისხლი ან მისი კომპონენტი (პლაზმა, ერითროციტული მასა, თრომბოციტული მასა).

6.1.3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაავადებების მქონე პაციენტების მედიკამენტური მკურნალობა ფინანსდება წლიური 200 (ორასი) ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე.

6.2. ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა პროგრამული კოდი 06 02 02

6.2.1. პროგრამის მოსარგებლეა ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით ესაჭიროება სადიაგნოსტიკო კვლევები, დიაგნოზთან დაკავშირებული კვლევები, ოპერაცია ბიოფსია და სხვა.

6.2.2. მოსარგებლე ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით წლიური 2000 (ორი ათასი) ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე.

6.2.3. ქვეპროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება საზღვარგარეთ მკურნალობა და უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება.

6.3 „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარების ქვეპროგრამა პროგრამული კოდი 06 02 03



6.3.1. პროგრამის მოსარგებლე პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით დაენიშნა დიალიზის კომპონენტის სამედიცინო მომსახურება.

6.3. 2. მოსარგებლე ფინანსდება ყოველთვიურად და დახმარების მოცულობა განისაზღვრება თვეში 120 (ასოცი) ლარის ოდენობით.

6.4. ამბულატორიულ-მალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა პროგრამული კოდი 06 02 04

6.4.1. მაღალ ტექნოლოგიური დიაგნოსტიკური გამოკვლევები ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მიუწვდომელი რჩება მაშინ, როდესაც მთელი რიგი დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

6.4.2. დახმარება გაეწევა ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოსახლეობას მომსახურების მიმწოდებლის ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით:

6.4.2.1. სოციალურად დაუცველ (სარეიტინგო ქულა 100 000 დანაკლები) პაციენტებს - 100%-ით;

6.4. 2.2. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს - 100 %-ით;

6.4. 2.3. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს - 100%-ით;

6.4. 2. 4. სხვა დანარჩენ მოსახლეობას - 70 %-ით, გარდა მე-6 პუნქტის „6.4. 6.5“. „6.4. 6.6“. და 6.4. 6.7. ქვეპუნქტებისა.

6.4.3. ქვეპროგრამით განსაზღვრულია (ექიმის დანიშნულებით) ბენეფიციარისთვის რამოდენიმე გამოკვლევის დაფინანსება, რომლის ღირებულებაც არ უნდა აღემატებოდეს 500 (ხუთას) ლარს, გარდა „6.4. 6.5“. „6.4. 6.6“. და „6.4. 6.7“ ქვეპუნქტებისა.

6.4.4. ქვეპროგრამით განსაზღვრული სერვისებით ვერ ისარგებლებენ სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული სამედიცინო პროგრამის ბენეფიციარები, აგრეთვე ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლეები, გარდა იმ შემთხვევებისა თუ ისინი არ/ან ნაწილობრივ ითვალისწინებს აღნიშნული სადიაგნოსტიკო კვლევის დაფინანსებას.

6.4. 5. ქვეპროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება საზღვარგარეთ ჩასატარებელი და უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება.

6.4. 6. დაფინანსდება შემდეგი მომსახურებები:

6.4. 6.1. კომპიუტერული ტომოგრაფია;

6.4. 6.2. ანგიოგრაფიები;

6.4. 6.3. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია;

6.4. 6.4. პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია;

6.4.6.5. გასტროსკოპია (დაფინანსდება 500 (ხუთასი) ლარიანი შეზღუდვის გაუთვალისწინებლად 100%-ით);

6.4.6.6. კორონაროგრაფია/ვენტრიკულოგრაფია (დაფინანსდება 500(ხუთასი) ლარიანი შეზღუდვის გაუთვალისწინებლად 100 %-ით);

6.4.6.7. ღვიძლის ელასტოგრაფია (დაფინანსდება 500 (ხუთასი) ლარიანი შეზღუდვის გაუთვალისწინებლად 100 %-ით, გარდა „C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართული პაციენტებისა, რომელთა FIB4 ქულა არის 1.45-3.25 მაჩვენებლებს შორის“).

6.4. 6.8. დოპლეროგრაფია



6.5. ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა პროგრამული კოდი 06 02 05

6.5.1. ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისათვის ქირურგიული ოპერაციული ჩარევის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

6.5.2. ქვეპროგრამის მოსარგებლეა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული:

